სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება № 01-08/911

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე)
სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტ დიანა დოლიძის
ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2024 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-08/932 ბრძანების, ,,ბსუ-ს ,,აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტ დიანა დოლიძისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 06 თებერვლის №01-08/23 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის №01-08/852 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის №01-02/210 ბრძანების, დიანა დოლიძის 2025 წლის 05 ნოემბრის №1532459 განცხადების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №1787858 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" (მე-5 დონე) სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი **დიანა დოლიძე** (პ/ნ:), რომელსაც სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული აქვს 0 კრედიტი, პირადი განცხადების საფუძველზე დაბრუნდეს ბსუ-ს სასწავლო პროცესში იმავე პროფესიულ პროგრამაზე და სწავლა გააგრძელოს 2025 წლის 22 დეკემბრიდან, 2025 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან ერთად.
2. ბრძანება აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის ვადებთან დაკავშირებით ინფორმირება და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შესრულება.
4. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების

ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე